

შპს თრეველინ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს „თრეველინ“ ს/ნ 202464298

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბერი

ა. ჯინჯილაძე

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 31.12.2024			
	31-12-24	31-12-23	31-12-22
აქტივები			
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	311,565.00	107,159.00	43,999.00
ნაღდი ფული საღაროში	2,636.00	113.00	1,708.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	270,742.00	83,383.00	34,671.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,187.00	23,663.00	7,620.00
სხვა მოკლევადიანი აქტივები	700,659.00	717,864.00	394,670.00
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	700,659.00	717,864.00	394,670.00
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები			
სასაქონლო მატერიალური მარაგები			
ძირითადი საშუალებები	341,190.00	364,369.00	384,927.00
შენობა-ნაგებობა (ოფისი)	333,224.00	352,825.00	372,427.00
ავტო და სხვა ინვენტარი	3,704.00	5,407.00	6,642.00
ტექნიკა ოფისისთვის	2,538.00	4,198.00	5,858.00
არამატერიალური აქტივები	1,724.00	1,939.00	
სულ აქტივები	1,353,414.00	1,189,392.00	823,596.00
ვალდებულებები			
ვალდებულებები მომწოდებლების მიმართ	163,551.00	220,492.00	44,261.00
გადასახდელი ხელფასები	24,875.00	23,765.00	23,765.00
საგადასახადო ვალდებულებები ბიუჯეტის მიმართ			107.00
გრძელვადიანი ვალდებულებები	1,041,030.00	1,170,063.00	1,304,227.00
კლიენტისგან მიღებული ავანსები			
სულ ვალდებულებები	1,229,456.00	1,414,320.00	1,372,360.00
კაპიტალი			
დაგროვილი ზარალი	123,958.00	- 224,928.00	- 548,764.00
დამფუძნებლის შენატანი			
სულ კაპიტალი	123,958.00	- 224,928.00	- 548,764.00
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	1,353,414.00	1,189,392.00	823,596.00
მოგება-ზარალის უწყისი			
შემოსავალი	31-12-24	31-12-23	31-12-22
შემოსავალი ავიაბილეთებიდან, დაზღვევა	7,015,777.00	7,589,993.00	7,783,501.00
შემოსავალი უცხოური სასტუმროების მომსახურების რეალიზაციიდან	993,466.00	1,125,177.00	735,986.00
შემოსავალი საქართველოს სასტუმროების მომსახურების რეალიზაციიდან	116,013.00	72,332.00	14,994.00
შემოსავალი გიდ-თარჯიმნებისა და სხვა საქართველოში გაწეული მომსახურებიდან	10,295.00	21,704.00	1,956.00

0.306515

შემოსავალი უცხოური ტრანსპორტისა და სხვა უცხოეთში გაწეული მომსახურებიდან	170,482.00	156,352.00	64,456.00
ტურისტული პაკეტის მიწოდება	116,171.00	103,734.00	2,473.00
არარეზიდენტებისათვის (დაუბეგრავი)			
შემოსავალი იჯარიდან	3,000.00	3,000.00	3,000.00
შემოსავალი ბონუსებიდან	44,196.00	90,728.00	36,981.00
შემოსავალი კომუნალური მომსახურებიდან	5,118.00	1,117.00	
სულ შემოსავალი	8,474,518.00	9,164,137.00	8,643,347.00
ხარჯები	31-12-24	31.12.2023	31-12-22
ავიაბილეთების, დაზღვევის ხარჯი	6,425,665.00	7,106,685.00	7,278,759.00
სასტუმროს მომსახურების ხარჯი	1,078,887.00	1,282,316.00	709,281.00
გიდ-თარგიმნების და სხვა საქართველოში გაწეული ხარჯი	212,600.00	35,547.00	16,960.00
შეძენილი საქონლის უკან დაბრუნება			
სულ გაწეული მომსახურების ხარჯი	7,717,152.00	8,424,548.00	8,005,000.00
თვითღირებულება			
საერთო მოგება	757,366.00	739,589.00	638,347.00
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები			
შრომის ანაზღაურება	240,266.00	268,294.00	289,025.00
კომუნიკაციების ხარჯი	8,021.00	10,936.00	11,880.00
გიდ-თარგიმნების მომსახურება			
ცვეთა	23,179.00	23,169.00	22,755.00
ჯარიმები ავიაკომპანიებისგან	5,382.00	15,399.00	833.00
ბანკის საკომისიო	4,273.00	4,656.00	4,859.00
საქველმოქმედო ხარჯები			
საკანცელარიო და სამეურნეო ხარჯები	241.00	29.00	
ტურისტული მომსახურების ხარჯი	4,847.00	8,217.00	22,340.00
ცნობები	254.00		
სამივლინებო ხარჯი	6,331.00		
წარმომადგენლობითი ხარჯი	278.00		
მინების წმენდა			
საკონსულტაციო მომსახურება	60.00		
სწავლის დაფინანსება			
აუქციონის საკომისიო			
ქონების გადასახადი	3,737.00		
სულ საერთო ხარჯები	296,869.00	330,700.00	351,692.00
საოპერაციო მოგება	460,497.00	408,889.00	286,655.00
არასაოპერაციო შემოსავლები			
შემოსავლები კურსთა შორის სხვაობიდან	7,515.00	5,006.00	1,498.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	3,233.00		243.00
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	10,748.00	5,006.00	1,741.00
არასაოპერაციო ხარჯები			
სესხის საპროცენტო და საოპერაციო ხარჯები	84,190.00	62,910.00	72,158.00

0.30.2023

საკუროსო სხვაობით (გადაფასებით) და კონვერტაციით მიღებული ზარალი	31,143.00	2,757.00	3,235.00
საურავები			
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	7,026.00	19,894.00	7,844.00
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	122,359.00	85,561.00	83,237.00
მოგება დაბეგრამდე	348,886.00	328,334.00	205,159.00
მოგების გადასახადი	-	-	-
წმინდა მოგება/ზარალი 2024 წლის	348,886.00	328,334.00	205,159.00

კაპიტალში ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგება 2024 წ 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის					
	დასახელება		საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ კაპიტალი
	ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			- 548,764.00	- 548,764.00
	გაცემული დივიდენდი			-	-
	პერიოდის შედეგი			323,836.00	323,836.00
	ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			- 224,928.00	- 224,928.00
	გაცემული დივიდენდი			-	-
	პერიოდის შედეგი			348,886.00	362,971.00
	ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			123,958.00	138,043.00

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტი

	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2,636.00	113.00	1,708.00
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	270,742.00	83,383.00	34,671.00
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	38,187.00	23,663.00	7,620.00
სულ	311,565.00	107,159.00	43,999.00

ა. ჯინჯაძე

შპს თრეველინ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ზოგადი ინფორმაცია

კომპანია, მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თრეველინ“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 202464298, დარეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, ბუხაიძის #7, ფაქტიური მისამართი: საქართველო, თბილისი, ი. ნიკოლაძის 4, სართული 1.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ტურისტული მომსახურება. მომსახურება მოიცავს შემდეგი სახის საქმიანობებს: ავიაბილეთების რეალიზაცია, ტურისტების ქართული ან/და უცხოური სასტუმროთი უზრუნველყოფა, ტრანსფერის სერვისი. კომპანია ორგანიზებას უკეთებს სხვადასხვა ქვეყნიდან ტურისტების შემოყვანას საქართველოში და ტურისტული პაკეტის მიწოდებას: გიდის სერვისი, ტრანსპორტით უზრუნველყოფა, კვებითი მომსახურებით უზრუნველყოფა.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

თეიმურაზ ჯინჭარაძე - 34%;

ზურაბ ძიძიგური - 33%;

ვახტანგ მეუნარგია - 33%.

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შეიღობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია. კომპანიის საანგარიშო პერიოდი არის კალენდარული წელი, 2024 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

0.ჯგჟ ჰ

მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში და ყველა ღირებულება დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე. კომპანია წარმოადგენს ფინანსური მდგომარეობის უწყისს, სრული შემოსავლის ანგარიშგებასა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს. არ წარმოადგენს ქემის მოძრაობის ანგარიშგებას.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით საწარმო მოახდენს აქტივების რეალიზებას და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას

მ. ჯაფარიძე

შპს თრეველინ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობას და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განავითაროს კომპანია საქართველოში.

საქმიანობის უწყვეტობა

შპს თრეველინი ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლების მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

მსოფლიო ეკონომიკაში არსებული კრიზისები სხვადასხვა გარეშე და შიდა ფაქტორების შედეგად უცხოური ვალუტის მიმართ ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მერყეობა გავლენას ახდენს უცხოური პროდუქტის ფასებსა და მიწოდების პირობებზე, რაც უშუალოდ აისახება საწარმოს საქმიანობაზეც.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში. კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ა. ჯიჯიაშვილი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოადგენს მოთხოვნებს იმ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ გაუწია მის კლიენტებს ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე მოთხოვნები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი მოთხოვნები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე მოთხოვნები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება შესყიდვის ფასისგან.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია ახდენს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯის გამოკლებით.

0.765

შპს თრეველინ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება ნაშთის შემცირების მეთოდით:

კომპიუტერები	20%
ავეჯი ოფისისთვის და სხვა ინვენტარი	20%
შენობა-ნაგებობა ოფისისთვის	5%

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული მომსახურების მომხმარებლებზე გაწევისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

შემოსავალი ტურისტული და მასთან დაკავშირებული სხვა საქმიანობიდან

კომპანია მომხმარებლებს აწვდის ავიაბილეთებსა და ტურისტულ მომსახურებას. შემოსავალი რეგულარული მომსახურების მიწოდებიდან, როგორც არის ტურისტული მომსახურება, აღიარდება შესრულებისას იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა მომსახურების შეძენა, (ავიაბილეთის გამოწერა) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველდღიური ღირებულების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონელსა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის

წ. ჯ. მ. ხ. ს.

შპს თრეველინ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

საკუთარი კაპიტალი

ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საკუთარი კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლის მიერ. საკუთარი კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით. დაგროვილი ზარალი მოიცავს წინა საანგარიშგებო პერიოდების კუმულატიურ ზარალს.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი გამოცხადება და დამტკიცება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო სისტემაში, ბონუსები და სხვა სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

სესხები

გრძელვადიან სესხებად კლასიფიცირდება ის სესხები, რომლის დაფარვის ვალდებულება 12 თვეს აჭარბებს. სესხი აღირიცხება თვითღირებულებით.

0.25.25 აბრ

შპს თრეველინ

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ამონაგების აღიარება

მომსახურების გაწევიდან ამონაგები აღიარდება მომსახურების გაწევის შემდეგ, როცა მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა. ამონაგების აღიარება ხდება უკვე მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, დღგ-ს გარეშე.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებიდან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დირექტორი თეიმურაზ ჯინჭარაძე



ბუღალტერი ნანა ნადირაძე

